ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

000000-00-0-000000000000

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ _____
__/__/____

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ევროკავშირში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს გლობალური პანდემიის COVID-19 -ის წინააღმდეგ რეაგირების მიზნით, რამდენიმე მიმართულებით; მათ შორის:

- ამოქმედდა ევროკავშირის **სასწრაფო მხარდაჭერის ინსტრუმენტი** (Emergency Support Instrument), რომლის ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხმარდება ევროკავშირში ვაქცინის შექმნასა და შეძენას, ძირითადად წინასწარი შესყიდვის შეთანხმებების მეშვეობით. აღნიშნული სქემის მიხედვით, ერთის მხრივ, სასწრაფო მხარდაჭერის ინსტრუმენტიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული თანხა ხმარდება ვაქცინის შექმნას, ხოლო შექმნის შემთხვევაში, ჩადებული ინვესტიციის შესაბამისად, ვაქცინების კონკრეტულ რაოდენობას მიიღებს ევროკავშირი და გაუნაწილებს წევრ ქვეყნებს.

- ასევე, ევროკომისიის მიერ შექმნილია **სტრატეგია EU Strategy for COVID-19 vaccines** (დოკუმენტი თან ერთვის). ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლობის ინფორმაციით, ევროკავშირის წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აქტიურად ლობირებენ აღნიშნულ სტრატეგიაში, ბალკანეთის ქვეყნების პარალელურად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, განსაკუთრებით, ასოცირებული ქვეყნების, ჩართვას. საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მოსაზრებით, ამ სვლას, გარდა პრაგმატული დატვირთვისა, აქვს ასევე მიზანი, გაანეიტრალოს რუსეთის დეზინფორმაციის მორიგი ტალღა, რომელიც მდგომარეობს რუსეთის მიერ გავრცელებულ (დიდი ალბათობით ცრუ) ინფორმაციაში, რომ მას უკვე შემუშავებული აქვს ვაქცინა და მ.წ. აგვისტოდან დაიწყებს მოსახლეობის მასიურ აცრას.

ზემოაღნიშნული თემების გათვალისწინებით, **გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი პოზიცია, 1. თუ კონკრეტულად რა ტიპის თანამშრომლობა/მხარდაჭერა სურს საქართველოს ევროკავშირისგან ვაქცინებთან დაკავშირებით და 2. მიზანშეწონილად მიიჩნევთ თუ არა სტრატეგიაში- EU Strategy for COVID-19 vaccines საქართველოს ჩართვას.**

აქვე გაცნობებთ, რომ ახლახან უკრაინას დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა ევროკავშირის ჯანდაცვის კომიტეტში (**EU Health Security Committee),** რომელიც 2001 წელს შეიქმნა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ჯანდაცვის მინისტრების მოთხოვნის საფუძველზე. კომიტეტი საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და მის ფარგლებში განიხილება ევროკავშირში

ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ დამკვირვებლის სტატუსით ასევე სარგებლობენ ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, სერბეთი და თურქეთი.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულ კომიტეტში საქართველოსთვის დამკვირვებლის სტატუსის მოპოვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

დანართი: 10 გვერდი

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე